საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №1

ქ. ბათუმი 24 იანვარი, 2019 წელი

სხდომას ესწრებიან:
ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 22 იანვარის №01-02/06 ბრძანებით: „ბსუ - ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. მერაბ დიასამიძე- ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. რეზო ოკუჯავა- ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. თამარ მაჭუტაძე- ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი (კომისიის მდივანი);
4. ედიშერ ჩავლეიშვილი- ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი;
5. ნინო ინაიშვილი- ბსუ-ს მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
6. ციალა ქათამიძე- აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
7. ასლან ჭანიძე- ა(ა)ილ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის თავმჯდომარე.

სხდომას არ დაესწრო საპატიო მიზეზით ასლან ჭანიძე

დღის წესრიგი:
საკონკურსო კომისია გაეცნო ელექტრონულ პორტალზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას: პროექტის აღწერა, CV,(ავტობიოგრაფია) სარეკომენდაციო წერილი, ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ. მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის **სისრულის შემოწმება** (კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობის).

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მერაბ დიასამიძემ განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის შესაბამისად უნდა შევისწავლოთ საკონკურსო დოკუმენტაცია და დავადგინოთ, არის თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრული და კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობაში.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა:
კომისიის მდივანმა თამარ მაჭუტაძემ აღნიშნა, რომ შემოსულია 15 განაცხადი: სამეცნიერო - კვლევითი პროექტი- 5 განაცხადი, საგანმანათლებლო, კულტურული ან სპორტული პროექტი-10 განაცხადი.
კომიისიის თავმჯდომარემ განმარტა: **სამეცნიერო - კვლევითი პროექტები:**

#	პროექტის დასახელება	პროექტის ავტორი	მეცნიერ ხელმძღვანელი
1.	„პოლონელები ნაპოლეონის არმიაში (საისტო¬რიო მეხსიერების ჭრილში)“	ალექსანდრე ზაქარიაძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის საბაკალავრო პროგრამა)	კახაბერ სურგულაძე, ანდრე ფურიერი (პოლონელი, პროფესორი)
2.	ფუკოს ქანქარა	ანა სურმანიძე (ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებ ლო პროგრამა)	ლალი კალანდაძე, ნუგზარ ღომიძე, იზოლდა ჯაბნიძე
3.	"სახელმწიფოს პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების თავისებურებები და გაწეული ხარჯების ეფექტიანობის გზები"	მზია სურმანიძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ფინანსების საბაკალავრო პროგრამა)	გიორგი აბუსელიძე
4.	იმ/ფოსიბლ - im/possible	ირმა ბოლქვაძე (იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა	ეთერ ვარშანიძე

		ფაკულტეტი, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	
5.	აჭარის ზოგიერთი ადვენტური მცენარის ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა და მათი გამოყენების პერსპექტივები	მარიამ დოლიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	მაია ვანიძე

საგანმანათლებლო პროექტები:

#	პროექტის დასახელება	პროექტის ავტორი	საინიციატივო ჯგუფი/კლუბი/ ან/და სხვა
1	ლიბერრუმი	ბაჩუკი ფარტენაძე (იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	
2.	ეკონომიკური დებატები - ბსუ 2019	ნესტან ვარშანიძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა)	
3.	სტუდენტთა კლუბი „ახალგაზრდები დღეს"	მერი ნამგალაძე	

		(ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა)	
4.	"ნაცრისფერი რეფლექსია"	ნუკრი დუმბაძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	
5.	პროექტის წერა და მართვა	გიორგი საგინაძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა)	"ოთხი სტუდენტი"
6.	სტუდენტები განვითარებისთვის	დავით ბალაძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა)	"სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება"
7.	ზამთრის სკოლა	ამირან აბაშიძე (იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა)	

8.	ბსუ-ს სტუდენტთა რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი	შალვა ილარიშვილი (ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	"სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება"
9.	მომავალი ჩვენია	ხატია ბერიძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	"ერთად უკეთესი მომავლისთვის"
10.	S2S - ილაპარაკე - (Student To Student - Talks)	ზალინა გორგილაძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)	

კომისიის წევრმა ნინო ინაიშვილმა აღნიშნა, რომ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში არის მოთხოვნებთან, ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის № 01-08/39 ბრძანებასთან: „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე".

კომისიის წევრებმა: თამარ მაჭუტაძემ, ედიშერ ჩავლეიშვილმა, ნინო ინაიშვილმა, ციალა ქათამიძემ, მერაბ დიასამიძემ, რევაზ ოკუჯავამ აღნიშნეს, რომ უკვე გაეცნენ წარმოდგენილ პროექტებს, თუმცა მიზანშეწონილად მიიჩნიეს თოთოეული კონკურსანტის სააპლიკაციო პაკეტის ერთად განიხილვა და შეფასება.

კომისიის თითოეულმა წევრმა ინდივიდუალურად შეაფასა კონკურსანტი, დადგენილი შეფასების კრიტერიუმებისა და ქულების მიხედვით.

კომისიამ შეაჯამა მიღებული შედეგები, რომლის მიხედვითაც **სამეცნიერო-კვლევითი პროექტებიდან** 31 ქულა გადალახა 2 პროექტმა:

1. „აჭარის ზოგიერთი ადვენტური მცენარის ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა და მათი გამოყენების პერსპექტივები“ - **პროექტის ავტორი მარიამ დოლიძე** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის მეცნიერ ხელმძღვანელი პროფ. მაია ვანიძე, პროექტის ბიუჯეტი: 3000 ლარი.
2. „ფუკოს ქანქარა“ - **პროექტის ავტორი ანა სურმანიძე** - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის მეცნიერ ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ლალი კალანდაძე, პროფ. ნუგზარ ღომიძე, ასოც. პროფესორი იზოლდა ჯაბნიძე, პროექტის ბიუჯეტი: 1800 ლარი

პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკულია:

N	სამეცნიერო პროექტის დასახელება	სამეცნიერო კვლევითი პროექტის ავტორი	მეცნიერ ხელმძღვანელი	საშუალო არითმეტიკული ქულა
1	„აჭარის ზოგიერთი ადვენტური მცენარის ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა და მათი გამოყენების პერსპექტივები“	**მარიამ დოლიძე** - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი)	პროფ. მაია ვანიძე	43, 5
2	„ფუკოს ქანქარა“	**ანა სურმანიძე** - (ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი)	ასოც. პროფ. ლალი კალანდაძე, პროფ. ნუგზარ ღომიძე, ასოც. პროფესორი იზოლდა ჯაბნიძე	42, 8
3	"სახელმწიფოს პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების თავისებურებები და გაწეული ხარჯების ეფექტიანობის გზები"-	**მზია სურმანიძე** - (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ფინანსების საბაკალავრო პროგრამა)	ასოცირებული პროფ. გიორგი აბუსელიძე	26
4	„პოლონელები ნაპოლეონის არმიაში	**ალექსანდრე ზაქარიაძე** -	პროფ. კახაბერ სურგულაძე,	22,8

	(საისტორიო მეხსიერების ჭრილში)“	(ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის საბაკალავრო პროგრამა)	ანდრე ფურიერი (პოლონელი, პროფესორი)	
5	„იმ/ფოსიბლ - im/possible“	ირმა ბოლქვაძე - (იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	ასისტ. პროფ. ეთერ ვარშანიძე	23, 6

საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:

გამოვლინდა გამარჯვებულად ორი პროექტი ანა სურმანიძისა და მარიამ დოლიძის ხელმძღვანელობით.

ასევე, შეფასდა საგანმანათლებლო სახის პროექტები:

N	საგანმანათლებლო პროექტის დასახელება	საგანმანათლებლო პროექტის ავტორი	გაერთიანების სახელი	საშუალო არითმეტიკული ქულა
1	ეკონომიკური დებატები - ბსუ 2019	ნესტან ვარშანიძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა)		46, 6 ქულა
2	სტუდენტები განვითარებისათვის	დავით ბალაძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა)	“სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება”	45,3 ქულა
3	ლიბერრუმი	ბაჩუკი ფარტენაძე (იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამართლის		43,4 ქულა

		საბაკალავრო პროგრამა)		
4	პროექტის წერა და მართვა	გიორგი საგინაძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა)	"ოთხი სტუდენტი"	29 ქულა
5	ზამთრის სკოლა	ამირან აბაშიძე (იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა)		28,5 ქულა
6	ბსუ-ს სტუდენტთა რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი	შალვა ილარიშვილი (ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	"სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება"	27, 3 ქულა
7	S2S- ილაპარაკე- (student To Student – Talks)	ზალინა გორგილაძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)		27 ქულა
8	მომავალი ჩვენია	ხატია ბერიძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	"ერთად უკეთესი მომავლისთვის"	26,8 ქულა
9	სტუდენტთა კლუბი ,,ახალგაზრდები დღეს"	მერი ნამგალაძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა)		26,6 ქულა
10	"ნაცრისფერი რეფლექსია"	ნუკრი დუმბაძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა		24,3 ქულა

		ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)		

კომისიამ ერთხმად დაადგინა სამი გამარჯვებული პროექტი:

1. **„ეკონომიკური დებატები - ბსუ 2019“** პროექტის ავტორი - ნესტან ვარშანიძე- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: 5000 ლარი.

2. **„სტუდენტები განვითარებისათვის“** პროექტის ავტორი- დავით ბალაძე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: 4940 ლარი.

3. **„ლიბერრუმი“** - პროექტის ავტორი- ბაჩუკი ფარტენაძე იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი. პროექტის ბიუჯეტი: 5000 ლარი.

დაადგინეს:

საკონკურსო კომისიის კენჭისყრის საფუძველზე მიღებული შედეგები საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა ასახოს კომისიის შემაჯამებელ ოქმში.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _____

მდივანი _____